ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცნებე ნიამორები

№ 9

ტფილისი

ი ა ნ ვ ა რ ი

1923

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ნინო.

ხორალი მეორე (მისტერიიდან „ჯვარი ვაზის“)

ქალწულო ნინო!
მოდიხარ ჩრდილებით:
დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული.
ვით რკინა ხორასანის—
ჩვენც გულახდილები
შენ წინ ვეფინებით ელვარე სიყვარულით.
შენი სიქალწულე:
ცინცხალი წყაროს თვალი.
და შენი სირბილე:
ალერდი ხალასი.
ნაყოფი. სურნელი. რომელი მოვსთვალოთ
იისფერთვალება უცხოელ ქალისა.
ნინო!
სილამაზით მცხეთა გაგვირისხე—
რომ ხარ საოცარი ქალწული და ქალი.
ძალზე შეიყვარე შენ მხოლოდ ღვინისხე
და ისიც ვნებული სასხვერპლოდ დაჰკალი.
და როცა მოგესმა ნელი ხმა ზევიდან
(გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია)—
ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლევიდან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.
ქალწულო ნინო!
ათასჯერ გვენახე.
შენ გეალერსება ვაზნარის ფურცელი.
მოგელის მარადის დედული ვენახი.
და ოდეს გიხილავს: ტორტმანობს. ირევა.
ვით წყაროს მუცელი—
რომელსაც დაეცემა დედალი ირემი.
აქ არის ტკივილი. არ არის წამება.
(გვეუბნებოდენ ამას ჩვენ მამები).
არ გვინდა დედაო სხვა ჯვარი ბერწების.
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევი.
ვიცით: ჯვარი ვაზის ლხინია ლერწების—
ტოტებს აიყრიან როცა გადასხლავენ
სასტიკი სასხლავით.

F2759

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო!
შენი ტანი ლხინის დამტევნელი
არც ერთი ქალწულის არ არის ნაცვალი.
ძუძუებავსილი ნეტა ვის ევნები.
გაივლი ზვარში და ჩაყურსულ მტევნების
მზის თესლით ივსება ყოველი მარცვალი.
ქალი უძლეველი. სასძლო სასურველი.
(მზის ტანი თუ არის ქალწულის საკმარი).
შორიდან გიყურებს აწ შენთვის ურვილი
მზევაჟი ლაშარი მაღალი საქმარო.
ის არის საქართველოს მცველი და მზვერავი
და ჯვარსა ვაზისას წაართმევს ვერავინ.
წმინდაო ნინო!
ვით მიწის ხნულები
შენ წინ დაღარულან აქ ჩვენი გულები.
მკერდებზე გადაიარ—და—ბედს გადაურჩებით
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.
დაო და დედაო!
ღვთისმშობლის დობილო.
შენზე ვართ დანდობილი.
და შენი შენდობით
არ გადავშენდებით.

გრიგოლ რობაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე ინგოროუვას.

გადამეტებით ტანჯულ დღეებით
წარსული ჰკივის უკულმართული;
ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.

საუკუნენი ცხელ თავანებით
ჩვენი სამშობლოს მზეში დნებიან;
მაგრამ ჯერ კიდევ ქარავანები
სცლიან ოქროებს ძველ მადნებიდან.

მიწა მსუქანი სისხლის დალევით
შენ შეგვათვისე—იმედიანი.
და გულში გივლის მკივან ალივით
შენ რუსთაველის მერიდიანი.

ძმა ინგოროუყო! ჩვენება არი
და ტკბილის ტანჯვით მოსაგონები:
მწველ ინდოსტანში ქართული ჯარი
და ტრაპეზონდში გარნიზონები.

და გვიბრუნდება ის ნეტარება
ამაყ დღეების—გადაჩვეულებს;
თუ პოეზია შეედარება
ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს.

ძმა ინგოროუყო! პოეტო ადრე
და მერე დარდო წასულ დიდების:
გულს პოეზია იჭვებით ანგრევს
და სისხლს—დაპყრობა პირამიდების.

პაოლო იაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინა მაყაშვილს.

შენ წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას,
შენ ტუბერკულოზს და სინაზით ავადგამხდარ ხმას!
ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა.

შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი
ამოდის მთვარე—თავისმკვლელთა ლეშით მსუქანი
ვანქის ტაძარში „Sabachtan"-ით შენ გაგეცინა.

მუხრანის ხიდზე დასახრჩობათ კიდევ დავდგებით.
საქართველოში ცხოვრება ხომ—თვითმკვლელობაა.
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით
ამიტომ მოგვწოვს და შეგვიდნობს ჩვენ ეს ობობა

ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი.
ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით.
თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივ დემონი:
მე ვხედავ იმ მორგს, მოწამლული სადაც დავწვებით.

ღმერთს, პოეზიას, შენ სიყვარულს მე დავაფიცე:
წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!

ტიციან ტაბიძე.

15/VII 22 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამის პეიზაჟი.

გაივლის მთვარე მოწყენილი ნაწვიმარ ბაღში:
ჩამომხმარ ხეზე კუზიანი დაეკიდება.
დარჩენილ სანთლის ბნელ ოთახში მოსჩანს არშია.

შავ ფანჯარაზე ჩამომჯდარი ცრემლებს ქსოვს ობი.
მიაქვთ ობობებს დატვირთული დროგი ნაგავით.
მობრძანდა ნისლით უეცარი: ნამი, ჭაობი.
და თეთრი ბაღი სოველ ქარმა კალთით დაგავა.

(ო, არ ეყოფილვარ ჯერ ასეთი მწუხრის მნახველი)
თითქოს ქალალდის უცხო მგზავრი ცოდვით ცივდება.
მიყვება საწყალს ლოკოკინა ვერცხლის ნახველით.
გზა მოვერცხლილი სინესტისგან ისევ სივდება.

მელანქოლიით გააცილებს ქუჩა ტიციანს.
მხოლოდ პაოლო მიიძინებს ქაშუეთის კართან.
ო, ვინ გაყვება მივიწყებულს ეტლს ასე გვიან.
ვინ არ იტირებს შემოდგომის შორეულ ქართან.

(ჩნდება პოეტი თითქოს შეწუხებული).

გამოვა ისევ კვირის მთვარე სველ ბუნაგიდან,
და გაორთქლილი ჩავარდება ზამთრის ნარვალში.
ლამის ქალბატონს მწვანე დორბლი ცვივა ბაგიდან.
თითქოს ჩაბრმავდა ფილოქსერა მის მაცდურ თვალში.

მოველი უხმოდ დიდ პროსპექტზე ნათელ ამინდებს
მეესაცოდავი, მაწანწალა და დედის მკვლელი
ლამის სინებზე მწუხარებით გაწოლილ ბინდებს
წავყვები მარტო შორს მნათობის ფარული მეკვლე.

(უახლოვდება ქალბატონს).

მიაქვს ქალბატონს სხვანაირი მთვარე თვალებით.
ახლა ეს მხარეც ამოივსო ქარით და ხრეშით.
. . . . . .
დაკარგულ ვარსკვლავს მე პოეტი, ვეძებ სივრცეში.

ჰკრება სივრცეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(**ქალბატონი ხრინწიანი ბანით**).

ვნახავ ნაგავში გადმოვარდნილ ქაღალდის მთვარეს.
მთვარეს დახეულს, სასოებით შეფერილს კირით.
ღამის მადონა ცის სტუმრებმა თითქოს გამთვალეს.
თითქოს მობრძანდა წასაყვანად სატურნი კვირით.

(**ბავში თითქოს მთვარეულის ხმით**).

ქაღალდის კუკლა, ქალბატონო, ალბად, ბრძანდებით.
ო, უცხო ბავშვმა, რომ წაგიღოთ, მომეცი ნება.
თქვენ ძვირფას მთვარეს გავაცილებ საოცარ ქებით.
და თეთრ კალთასთან სხვა ვარსკვლავზე მიმეძინება.

(**ისიც ჰქრება სივრცეში ორთქლად.**)

შალვა აფხაიძე.

ელამი სარკე.

საყდრის თავები მზით შეიმოსა
მინებს აწვება მარჯნების ღვარი.
მძინარე ქალი როგორც მიმოზა
სიზმრებში ტირის დაკარგულ გვარით.

შიში აღვიძებს ლოცვების მორჩილს:
ოთახში ფრინავს ყორანი შუშის.
და ელანდება ძუძუებ მოჭრილს
თუთუნის კვამლში ღიმილი ბუშის.

დიდიხანია ეს ბედი არგეს.
თავი ჯერ კიდევ ვერ გაიმეტა.
მუხლ მოკვეთილი უცქერის სარკეს—
და ეშაფოტი მოსჩანს იმედათ.

მაგრამ ამ სარკეს დღესვე გამოცვლის,
რომ შიგ ბრწყინავდეს კვლავ საფირები.
და დაინახა მან გამოსვლისას
მოდიან მისი სოფლის ვირები.

რაუდენ გვეტაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელსახვევის პოეტიკა.

მე გამოვიგონე ყელსახვევის პოეტიკა,
პოეტს რომ წვირიან კისერზე ეკიდა.
ოთხასი წლის ყორანი თავის ცქერით მაჩერებს,
როცა ეხეთქება რკინის მოაჯირებს.
შენ, სულო, ცრემლების ნახე ილიონი.
ო, ვინ დამავალა ყელსახვევის პოეტიკა!
ნანას მიგალობდა აღმზდელი — რიონი,
როცა ჩემი სული სინაზე ეკიდა.
გამოჩნდა ინფანტა ცარიელი, ლამაზი.
და მკვდარი ბელურა მას გულზე ეკიდა:
ბევრი ჩატერტონი დაფიქრდება ამაზე:
ლამის და ყელსახვევის შავი პოეტიკა.
ჩემი აქვითინება, სიკვდილის მონატრება
და სალომეასთვის სალამის კადრება.
ჩემი თვითმკვლელობის შავი პოეტიკა,
როცა ყელსახვევი კისერზე მეკიდა.
მე — იოქანაანი, მწვანე ვით ფანქარი:
საფირონის ტახტზე წითელი ეროდი.
კვლავ მომელანდება სასტიკი ლანგარი,
მასზედ მოკვეთილი თავით რომ ვტიროდი.
წვიმიან მუსიკის ტირილი ხარბი.
ყელის და ყელსახვევის შავი პოეტიკა.
და ჩემი ოცნება ბოდლერის წარბით
სოველ მოგონებას კვლავ გამოეკიდა.
ქუჩა და ფარანი: უმიზნო, უნაყოფო,
როცა ჩემი სული წამწამებზე ეკიდა.
დალუპულ ოცნების ღამეში ლალობა,
როცა თვითმკვლელობის იწვის პოეტიკა!

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ხელოვნების სასახლე.
ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირონია და ცინიზმი.

პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში.

ჩვენ დროს, შესაძლებელია, ისე არაფერი აწვალებდეს, როგორც პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. შეიძლება ითქვას, მე კი მგონია აუცილებლათ უნდა ითქვას, რომ ისტორია პოეზიის არის ერთი განუწყვეტელი სამოქალაქო ომი, რომ ვილაპარაკოთ პოლიტიკურ ენარგონით, რომელიც დღეს დასჩემდა ქვეყანას.

პოეზიის ისტორიას არ-ახსოვს, რომ გამოსულიყოს პოეტი და მიეღოს წინანდელი შემოქმედება. ამ შემთხვევაში რევოლიუციებს ვერც კი დაითვლიდა ადამიანი. თავი რომ დავანებოთ მაგალითებს ანტიურ ქვეყნიდან, საკმაოა მარტო დასახელება ბაირონის და ვოლტერის, რომ ვიგრძნოთ ამ ტეზისის პირდაპირობა. წინათ ეს იყო საკითხი პირადობის, შემდეგ შეიქნა საკითხათ შკოლების და უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც თვითონ პოეზია დაუახლოვდა თავის დასასრულს, როცა ამოიწურა ლირიკა და ქვეყანა გადაბრუნდა ყველა კუთხეებით. მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის რომანტიზმი ნაპოლეონის ბარაბანივით სცემდა თავის პირველ ბრძოლაში, მაინც პრობლემა მემარცხენეობის და საზოგადოთ პრობლემა პოეზიის დააყენეს მხოლოდ ფრანგმა სიმბოლისტებმა, მათი მანიფესტი, რომელსაც შემდეგ მოყვა დამტკიცება შემოქმედების, მსოფლიო რადიუსით გადაჭრის ამ დავას. ჩვენ არასდროს არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ როცა შარლ ბოდლერი ჯერ კიდევ ბარაბანულ ვიკტორ ჰუგოსავით აჩენდა ახალ ჟრუანტელს პოეზიაში, როცა ის აქებდა სიკვდილის შავ კაპიტანს და ანალოგიას ხედავდა ბავშის და დედაბერის კუბოებში, როცა ყველაზე ფანტასმაგორიულმა ედგარ პომ გაიარა მის პრესაში და მიიღო ახალი შობა პოეზიისთვის, როცა უარყოფილი იქნა პრიმიტიული, სილამაზეს დაუპირდაპირდა კოსმეტიკა და კულტი შავი ვენერის და დეკადანსის პირველი არგუმენტაცია, როცა ბოდლერი 48 წლის რევოლუციაში ბარიკადებზე იბრძოდა და სცემდა კიდეც გაზეთ „ბარრიკადს", მაშინ საქართველოში არც იყო დაწყებული დავა ილია ჭავჭავაძესა და კნ. ბარბარე ჯორჯაძის შორის. მაშინ შინ გაზრდილი კნეინა სრული დაუეჭველობით სწავლობდა ანბანის თეორეტიკას და ან ვის გაახსენდებოდა ის ამბავი, რომ პოეზიის ხერხემალი სწორედ მაშინ ტყდებოდა.

ილია ჭავჭავაძე 70 ათიან წლებში კომუნის დამარცხების დროს მაინც გრძნობს ანალოგიას, სხვა პოეტებისთვის კი პოლიტიკური ანალოგიაც არ ყოფილა. ამ დროის შემოქმედება მოგვაგონებს ჭურში ჩამჯდარ ადამიანის სიმღერას. მთელი ტრაგიზმი ქართულ პოეზიის ის იყო, რომ პოეტები ჩამორჩენ მშობლიურ პრიმიტივს და ევროპის რადიუსი ყოველთვის უარდა გვერდით ტფილისს. თუ ილიასთვის არ არსებობდა ეს პრობლემა, მით უმეტესს ეს არ იყო აკაკისთვის, იმიტომ რომ უნდა ითქვას მთელი მეცხრამეტე საუკუნის არა მარტო პოეზიის, არამედ ყველა იდეოლოგია მარტო ილია ჭავჭავაძემ გადაიტანა... და დიდხანს დარჩებოდა კიდევ ქართული პოეზია რუს სემენარიელების ესტეტიკის დამრღვეველთა რკალში, რომ „ცისფერი ყანწები" არ ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირველად „ცისფერ ყანწების“ მანიფესტებში დაისვა პრობლემა „პოეზიის საქართველოში, პირველად აქ გაიმართა სიტყვა და პირველი ეს იყო მაგარი უარი რუტინის, ფილისტერობის და ესტეტიურ ბარბაროსობის წინააღმდეგ.

„ცისფერი ყანწელები“ მაშინ გამოვიდენ პოეზიაში, როცა სიმვოლიზმი ათავებდა თავის ციკლს, როცა ფუტურიზმი დეკლარაციების შემდეგ დარჩა მხოლოდ სიტყვაო და როცა მსოფლიო ომი აპირებდა ხირურგიულად გადაეტეხა კულტურა. ეს იყო გზა ჯვარედინი.

„ცისფერ ყანწებმა“ პირველად შეგნებულათ უარყვეს თეორია აზიის და ევროპის „სინტეზის“... გრიგოლ რობაქიძემ დაამტკიცა, რომ არავითარ აზიურ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება საქართველოში, აქ გავლენა კი არ იყო მონგოლების და სხვა დამპყრობელ ერების, არამედ სრული განადგურება, და ამიტომ არის, რომ გრიგოლ მერჩულის და რუსთაველის **შემდეგ ქართული ენა გადაგვარდა** და ლექსი გაიტეხა. ჩვენში დღემდე გრძელდებოდა ეს ეროვნული დეკადანსი, ქართული ლექსი და ქართული სიტყვა „ცისფერ ყანწელებს“ ჩაუვარდათ ხელში, როგორც გადამწვარი მუგუზალი. და საჭირო იყო მართლა სასწაული, რომ ლექსი გამართულიყო ლექსად და ამდგარიყო პრიმატი ფორმის და იდეის. (აქ ბრჭყალებში უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღევანდლამდე ფორმა სწამთ, როგორც ლირიკული წყალი და იდეა, როგორც კრეტინობამდე დაყვანილი რიტორიკა). ჯერ კიდევ ადრეა „ცისფერ ყანწები“-ს ისტორიის დაწერა.

ჯერ კიდევ არ გათავებულა ცეცხლით გადაწვა. შეიძლება აშკარად ითქვას, რომ „ცისფერი ყანწები“ ისე იბრძოდა ქართულ კულტურისთვის, როგორც მთაწმისდელები ათონში, ისე ებრძოდა ლიტერატურულ ფეოდალიზმს, როგორც გიორგი სააკაძე (ამიტომ არის, რომ პირველად „ყანწებში“ დადგა სააკაძის პრობლემა).

მართალია ნოვატორობისთვის საქართველოს მზად აქვს ჭავჭავაძის წიწამური და მაჩაბელის მტკვარი თუ საკირე.

შეიძლება ეს წინასწარმეტყველებაც გამოდგეს, შეიძლება იყოს ამგვარი სასჯელიც, მაგრამ საქართველოს ბუდე ყველაფერს მოინელებს, ამ შემთხვევაში ზედმეტია სიბრალულიც, რადგან ფრანგი დენდიზმის მომგონის სიტყვაა: არ შეიძლება შეცოდება იმ ადამიანის, რომელსაც ერთხელ სწვავდა შემოქმედება...

მე ვამტკიცებ გადაჭრით, რომ ბოდლერის შემდეგ პოეზია ერთი ხაზითაც არ გახრილა. იდეოლოგია და თეორია სიმვოლიზმის, რამდენათაც ამას გვაძლევს ისტორია სიმვოლიზმის, ყველა ხაზებით ამოიწურება ბოდლერით.

რა არის ის მთავარი, რომელიც განირჩევა სიმვოლიზმის ყველა განმარტებიდან, და რომელიც ბოდლერს აყენებს პოეზიის უკანასკნელ პოზიციაზე.

რემი-დე-გურმონს, რომელიც თავის „ნიღაბთა წიგნის“ შესავალში იძლევა ელემენტარულ განმარტებას სიმვოლიზმისას, გაკვრით წამოცდება: რომ უკანასკნელი გამართლება პოეზიის არის ირონია.

ანდრეი ბელი, რომელიც თვითონ ითვლებოდა რუსულ სიმვოლიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგათ, შემდეგ დასცინის თავის თავს, რემი დე გურმონს და მალლარმესაც, მაგრამ მას ერთხელაც არ უგრძვნია რემი დე გურმონის ეს პარადოქსი, რომელიც შემდეგ შეიქნა თეორიათ.

ბოდლერში არის დაწყებული ურბანიზმი, ეს რკალი შემდეგ გაარღვია ვერჰარნმა, მაგრამ იგივეა სათავეში ირონიის, ეს რკალი დაიყვანა ძირამდი ჟიულ ლაფორგმა.

და აქამდი არ ყოფილა სხვა ხმა პოეზიაში, რომელიც გაუსწორდეს ლაფორგის ჟრუანტელს, აქ ქვეყანა პირველად არის მობრუნებული უკულ!ა, აქ არის არა მარტო დედამიწის რეკვიემი, ეს იმავე დროს რეკვიემია პოეზიის. „მოწყენა არა მარტო ირგვლივ, არამედ პლანეტაზეც", აქ ორივე მხრივ არის გამართლებული ბოდლერის ინტელეკტის სუვერენობა. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ირონია, არა თუ დამთავრებაა ფრანგული პოეზიის, შეიძლება ეს იყოს მისი ეროვნული გამართლებაც.

ყოველ შემთხვევაში ეს არის ნიშანი: ფრანსუა ვიონის, არტურ რემბოს, ტრასტან კორბიერის. ლოტრეამონის...

მოლდაროორის დიალოგი ლოტრეამონის არის უკანასკნელი დაწურვა ირონიის, განა უნდა გამეორება იმ სიტყვებს, როცა მოლდაროორი ხედავს ყველა ერთად შეერთებულს: აკვარიუმის სასწაულებს, ძერას, რომელიც სდარაჯობს მკვდარ ილიუზიას, რვა ფეხას აბრეშუმის ცქერით, ყველაფერს ძილის მომგვრელს, ანემიურს.., და ვინ დათვლის ამ პარადს ლეშებისას, მოლდაროორი მოითხოვს ამის რეაქციას...

სხვა დროს მეტი დამტკიცებით იქნება თქმული ფრანგულ პოეზიაზე. რუსეთმა საფრანგეთის ირონიას უპასუხა ციინიზმით. მე მხოლოდ ამ მხრივ ვხედავ რუსულ უკანასკნელ პოეზიის გამართლებას. ერთხელ ფლობერი ამბობდა: მე ვიქნებოდი მისტიკოსი, რომ ფორმა არ მიყვარდესო. რუსულ მისტიციზმს სწორედ ფორმის უქონლობა აიძულებს ხლისტობას და აქ არც გასაკვირია, რომ ირონია გადავიდა ციინიზმში. შესაძლებელია ეს ეროვნული გამართლებაც იყოს რუსული ახალი პოეზიის. მაიაკოვსკიმ დაიწყო ლაფორგით და გაათავა ჟურნალისტიკით და ციინიზმით, ვასილი კამენსკი, მეორე ეპიგონი ფუტურიზმის, სამუდამოთ დაიხრჩო ბანალობაში. აპოლოგია ციინიზმის ეკუთვნის ვ. როზანოვს.

ყველაზე უფრო პრინციპიალური რუსულ ფუტურიზმში, რომელიც ენათესავება ფრანგულ დადაიზმს, ეს 41 გრადუსი: ილია ზდანევიჩი, ა. კრუჩიონიხი და ი. ტერენტიევი—ნამდვილი წარმომადგენლები არიან რუსული ციინიზმის.

მათ უკვე დაკარგეს თავის იდეოლოგია „ზაუმნაია" პოეზიის და დღეს განიცდიან უკანასკნელ დეკადანსს.

მათი სიკვდილი უკანასკნელი დამარცხება იქნება ფუტურიზმის.

რასაკვირველია ჩვენ აქ არ ვეხებით მარინეტის სკოლას. ყველაზე უფრო უშედეგოთ პოეზიისთვის გაიარეს მარინეტის მანიფესტებმა. მარინეტი შეიქნა გ. დანუნციოს ეპიგონი, მისი დეკლარაციები მაშინაზე და მილიტარიტულ ლექსებზე დარჩენ მხოლოდ ნიმუშებათ ყალბი რიტორიკის და უნაყოფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც მარინეტი ლაპარაკობდა ზედმეტი ეესტიკულიაციით, უკვე გადა-
იმღერა ვერჰარნმა, პოეზია ეკვივალენტით რომ აყვეს კიდეც მაშინას, ამით
სრულიად არაფერი არ იცვლება.

რადგან დღეს ლექსი იზრდება უფრო სიღრმით და მარრინეტი ვერას-
დროს ვერ მისწვდება ლოტრეამონის უკანასკნელ ტერროორს.

ამიტომ არის დიდი გაუგებრობა, რომ მარრინეტი ითვლებოდეს პოეზიის
მემარცხენე ფრონტზე. მართალი იყვენ რუსი ფუტურისტები, როცა მარრინე-
ტის უთხრეს რუსეთში: „Воистину Россия футуристичнее Маринетти".

ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ პოეზია უფრო ტრაგიულია, ვინემ მა-
რინეტის მაშინა.

ინგლისელების ტანკებმა დალეწეს გერმანიის მილიტარიზმი, მაგრამ პო-
ეზიას ამით არაფერი მომატებია.

პოეზიის სედანი და მარნა—ერთად იყო ლაფორგში და ლოტრემონში.
პირველად აქ გადატყდა ხერხემალი, და ამას ვერ გაამართლებს რახიტიკების
თაობა, ბევრიც რომ წერონ მაშინის პაფოსზე.

სად არის მემარცხენეობა პოეზიაში:
დადაიზმი თუ „ცისფერი ყანწები"
ეს იყოს ტემა შემდეგი წერილისა.

ტიციან ტაბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი და მკითხველი.

კულტურა კონუსით შენდება: მეტი მაღალი მეტი ვიწროა და მწვერვალებზე დგომა შეუძლია მარტო ერთეულებს.

პოეზია ყველგან ერთია არსებითად, მაგრამ ადამიანის განცდას აქვს საფეხურები და ისტორიის სიგრძეზე პოეტური თრთოლვა იცვლება და წვრილდება, იცვლება პოეტური ხედვის ობიექტი, სუბიექტი, იცვლება თვითონ ხედვის მახვილობა და მომართვა. როგორც მუსიკალური ხმები, ისე პოეტები არიან სხვა და სხვა სიმაღლის. მოვლენასთან მისვლას აქვს ნაირი დაღუნვა და აფერადება სანახაობის. არი აღმართები და დაღმართები, მაგრამ საერთო ხაზი მაინც აღმართია.

არი პოეტური ხედვის დაფერვა, არი პოეზიის კულტურა: მიწვდომა, გაჩვევა, გზის გაგნება. ყოველი შემდეგი ეპოქა უფრო რთულია და ახალი. ფრანგმა პარნასელებმაც კი—წმინდა ლიტერატურულმა შკოლამ—პოეზიას ახალი ბოროტების ყვავილები დაამყნეს: გაუგომ მისწერა ახალგაზდა ბოდლერს—„პოეზიაში თქვენ მოიტანეთ ახალი თრთოლვა“. პო, ბოდლერი, მალარმე—ესაა ხაზი ამ ახალი თრთოლვის. „ყორანი“, „ბოროტების ყვავილები“, „ზამთრის თრთოლვა“. შემდეგ ლაფორგი ირონიით და ტკივილით. მისი ჩივილები ჭეშმარიტათ ახალი ხილვაა სამყაროსი, „გაბზარული ვაზის“.

ასევეა სიტყვიერ და ყოველ სხვა ხელოვნებაში. ჩვენი ათვისების მთავარი გზები—სმენა, მხედველობა—არაა ერთიანად ღია და გატკეცილი. კულტურა, დისციპლინა სცვლის შვენიერი ათვისების კანონებს. ერთეულებში ყოველთვის არი შესაძლებლობა ძველით დადაღვის და წყურვილი ახალი სპეტაკი ხილვის. ვაგნერი, სკრიაბინი, თავისუფალი ლექსი, იმპრესიონიზმი, თავის დროზე საერთო დონეზე მაღლა დგომა იყო. არი კონუსი ოსტატობის.

მწვერვალებმა იცის სიცივე მარტოობის. პოეტს შეუძლია იყოს მარტო: ამაში ერთნაირი სიამოვნებაც არი—სიამოვნება ტანჯის. ხელოვანისთვის მარტოობა სიკვდილია. ხელოვნება ხომ თქმაა—თქმას მსმენელი უნდა. მსმენელები მრავლათაა კონუსის დაბლა ფენებში. მსმენელები ჯოგათ მიყვებიან ეპიგონებს უკვე მიღწეულ სიმაღლეზე. კონუსი წვრილდება და ვიწროვდება რკალი მკითხველების. ევოლიუცია ნელია. და თანდათანი. ევოლიუციას ადვილათ მიყვება ფართო აუდიტორია. მაგრამ რევოლიუციონერს—გულიერის დიდი ნაბიჯებით რომ ადის მაღლა ახალი ცის დასანახავათ—ბრბო ვერ გაყვება—ბრბო გატკეცილი გზით მიდის. ოსტატს გენიოსს სჭირდება მკითხველი გენიოსი, რომელიც მისი თანაბარი იქნება ხედვის და სმენის დაწვრილებით. პოეტს გენიოსს უნდა შეხვდეს მკითხველი გენიოსი, რომლის თვალები გაუძლებდეს ქვეყნის ახალი გვერდით დანახვას. მაღალი აუდიტორია ზოგჯერ ამაღლებს ხელოვანსაც და ათქმევიებს მაქსიმებს. მკითხველების სახელებს იშვიათად ანახავს ისტორია—არიან ბედნიერები—მეცენატი, სტანკევიჩი, ბელინსკი, ლიუდოვიკ ბავარიელი, არჩილ მიქაძე, ალი არსენიშვილი. ეს ხდება მაშინ, როდესაც მკითხველი შემოქმედების ბედში ერევა ქონებით ან დამფასებელი სიტყვით. მაგრამ მკითხველის პათოსი უფრო ხშირად პასივობაა, სმენაა, მიმღეობაა.

როდესაც კითხულობ ლიტერატურის დიდებული ეპოქების ისტორიას, გრძნობ დიდებული ჩრდილების სიახლოვეს. არ ვიცით მათი სახელები და სახეები, მაგრამ კეთილშობილი ჩრდილები მათი უცნაურათ არხევენ და ათბობენ ჰაერს.

სანდრო ცირეკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შემდეგ: აპლოდისმენტები, ხმაურობა, აღტაცებული, ან მრისხანე სახეები. მაგრამ პოეტი შემოქმედების დროს ყოველთვის მარტოა და მის აუდიტორიას შეადგენენ ოთახში მომწყვდეული ნივთები. „ყორანის" ავტორმა მარტოობაში დალია სული და არასოდეს პარტერის თანაგრძნობა არ უნახავს. ლოტრეამონი მოკვდა ყველასათვის უცნობი. მან დაგვიტოვა თავისი ჭირვეული და ზვიადი სტრიქონები დემონიურ სახესთან ერთად. ის უთუოდ ანთებული იყო დიდი პოეტური ცეცხლით და ისე დაიფერფლა, როგორც მირაჟი უდაბნოში. ჩვენ ვხედავთ, რომ არტურ რემბომ უკანასკნელად დადუმება არჩია. მას შემთხვევით არ დაუტოვებია ევროპა. არის მომენტი შემოქმედის ცხოვრებაში, როდესაც ის გრძნობს, რომ სიტყვები ზედმეტია, რომ სიჩუმე უდიდესი ჭეშმარიტებაა. ნაცშესავით განმარტოებული და ჯვარცმული არავინ არ ყოფილა მე-19 საუკუნეში. ლირიკული პოეზია ენათესავება სიჩუმეს ეპოსზე და დრამაზე უფრო. ეს მაშინ, როდესაც სიტყვები კარგავენ თავის ძალას და უთმობენ ადგილს შთაგონებას სხვანაირს. არა სიჩუმე სინამატოგრაფის ლანდების, არამედ სიჩუმე ცეცხლის, რომელსაც შეუძლია, როგორც ქარს შექმნას ხმაურობის და გრიგალის ოპერა. ნახულ დრამის შემდეგ გვწყურია ლაპარაკი, მოძრაობა, ეპოსის შემდეგ გვენატრება შორეული ქვეყანა და უცხო სანახაობა. ლირიკა იძლევა ნირვანის გრძნობას და არც ერთ ხელოვნებას (მუსიკის გარდა) არ გადაყავს სული ნირვანაში ისე, როგორც ლირიკას. მოსალოდნელია, რომ მუნჯები ყველაზე უფრო გაიგებენ და დააფასებენ ლირიკულ ატირებას, რადგანაც ლირიკა ყოველთვის არის პრელიუდია დამშვიდების და სიჩუმის. ლირიკაში ისვენებენ ყველა ტრაგედიების გმირები: მეფე ლირი, ოფელია, მაკმეტი, დეზდემონა, თვით ბაირონი, თვით შელლი და თვით ედგარ პო. ეპოსი და ტრაგედია ნამდვილი ცხოვრებაა. ლირიკის მუსიკალური სამეფო უკვე ელლიზიუმია, სადაც ტრაგედიის გმირები მხოლოდ ფაწტომები არიან და ნაზათ გაუღიმებენ თავის წარსულს. აქ აღარ არის რეალობა, აქ მხოლოდ მისტიკაა მსუბუქ აჩრდილების. ლირიკაში რეალური სახე კარგავს თავის სიმძიმეს და ეზიარება იმ სიმაღლეს, სადაც სუნთქავენ ბეატრიჩე და ნაუზიკაია. ეპოსი და ტრაგედია ჯოჯოხეთის და განსაწმენდელის როლს თამაშობენ, ლირიკა სამოთხეა და ამ სამოთხეში შეხვედრა შორეული მიზანია ყველა ლიტერატურული გმირების.

ხდება ერთგვარი გადალაგება ეპიური და დრამატიული სახეების. ვინც იცნობს ჰომიროსის ნაუზიკაიას და შექსპირის ოფელიას, მისთვის საკვირველი არ იქნება ამ ორი ფანტომის შეხვედრა ლირიკაში. შესაძლოა ითქვას ერთი აფორიზმი: ეპიური და დრამატიული სახეები თავის განვითარებაში უნდა იქცენ ლირიკულ სახეებათ. მაგალითად—დულცინეია, დონ-კიხოტი, კორდელია, ჰამლეტი. უამისოდ ეპოსი და დრამა კარგავენ თავის მხიბლაობას და რეზონანსი მათი სახეების ყოველთვის განსაზღვრულია. ჯერ—რეალობა, ორგიასტობა, სილლოგიზმი, სიმტკიცე, შემდეგ უნაზესი ნიავი ლირიკის, თუ გნებავთ

ირონიის, (ლაფორგის ირონიის). ლირიკას შესწევს ძალა ერთი აწეული სონეტით დაუკარგოს სიმძიმე როდენის სახელს და აქციოს ის მთავარანგელოსად. ლირიკის ციური მექანიკა ბედავს მიკელ-ანჟელოს და ლეონარდოს ამეტყველებას მონნა-ლიზას სახელით. ლირიკა ყველა ხელოვნებაზე უფრო უნივერსალურია და რევოლიუცია პოეზიის უპირველეს ყოვლისა იწყება ლირიკაში. ლირიული ხვეული აქვთ ეპიკოსებს და დრამატურგებს. დღეს ლირიკა და ბერძნული ტრაგედია უახლოვდებიან ერთმანეთს, რადგანაც ორივეს ახასიათებს საშინელების და უკანასკნელი დაღუპვის კულტი. მაგრამ ლირიკა არ არის მხოლოდ დაღუპვა. ლირიკის დაღუპული გმირები ისევ ლირიკაში ნახულობენ თავშესაფარს. ლირიკულ ელიზიუმის მეფეა ბოდლერი, რომელიც იქცა მითოლოგიურ სახეთ. ასეთი მითიური სახეები მოიპოვება ლირიკაში; ტეოდორ გოტმანი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, მარსელინა დებორდ—ვალმორ, საფო, ტომას ჩატერტონი, კრისტოფორ მარლო და სხვები. ლირიკა მეტი სიყვარულით უმღერის ნანას თავის საკუთარ შვილებს. ლირიკოსის კარიერა ჩქარია და ნერვიულია. არიან ლირიკოსები მხოლოდ ფორმით, და არიან ლირიკოსები პირიკვნებით. ვისაც თავისი თავი მიაქვს ლირიკის სამსხვერპლოზე, ისინი უფრო ადრე ეთხოვებიან სამყაროს, მაგრამ ლირიკა უთმობს მათ უძვირფასეს ტახტებს. ორი მაგალითი: ხოზე მარია—ერედია—ესპანელი, რომელმაც დასწერა წიგნი სონეტების ფრანგულათ და ტრისტან კორბიერი, რომელმაც დასწერა ორი წიგნი ლექსების და უდროოდ მოკვდა ჭლექისაგან. მეორე თავიდანვე ლირიკოსია, რადგანაც თავიდანვე ინდივიდუალურია, პირველი (ხოზე მარია ერედია) ოსტატია და ლირიკულ სახეებათ აქცევს ისტორიულ აჩრდილებს: კლეოპატრას და ანტონიუსს, სციპიონს, ჰანიბალს და სხვებს. ხოზე მარია-ერედია ქმნის ლირიკულ სახეებს ეპიურ სახეებიდან, მაგრამ იმისათვის, რომ ის თვითონ იქცეს ლირიკულ სახეთ, საჭიროა მეორე პოეტი, რომელიც შეიყვანს ერედიას პიროვნებას ლირიკის სამეფოში.

პოეტების და ლიტერატურული გმირების სახელები დიდ სამსახურს გაუწევენ ლირიკას და ლირიკის წინ იშლება დიდი პერსპექტივები.

ბალმონტის და ბრიუსოვის, სუინბიორნის და სტეფან გეორგეს სახელები იმდენად გაიმარჯვებენ მომავალ საუკუნეებში, რამდენად მათ მიიღებს მომავალი ლირიკის მითოლოგია. პოეზიას აქვს თავისი გერალდიკა, თავისი გენეალოგია და ლირიკულ პოეზიაში ხდება ახალი გადაფასება სახელების. აქ გლეხს შეუძლია მეფის ადგილი დაიკავოს და მეფეს ჯამბაზის.

ლირიკა სესხულობს სახეებს ეპისიდან და დრამიდან, მაგრამ შეუძლია სამსახური გაუწიოს თავის უფროს დებს. ლირიკას შეუძლია აჩუქოს დრამას და ეპოსს არტურ რემბოს, პოლ ვერლენის და ედგარ პოს ბიოგრაფია.

თვითონ ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის. ის არისტოკრატიულია ზედმიწევნით. ლირიკის წინ დიდი პერსპექტივებია: ბავშის ტიტინიდან ფაუსტის სიბრძნემდე, ბიორნსის სიმღერიდან მალდაროორის მონოლოგამდე. არტურ რემბოს გრიგალით დაწყებული კარიერა სიჩუმით დამთავრდა. ლირიკა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ელლიზიუმი გმირების და პოეტების, სადაც ნებივრობენ ბედნიერი ლანდები. ტიუტჩევის ლირიკა ქაოსია—მაგრამ ეს ქაოსი უკვდავების წინაგრძნობით არის ამღერებული. დღეს უბედური ჰამლეტი უთუოდ ლირიკული სახეა—ის ლირიკის სამეფოშია ოფელიასთან ერთად და ნუგეშს გვაძლევს თავისი ბრწყინვალე სახით. ვილიე-დე-ლილ ადან მოკვდა სიღარიბეში. ვერლენმა ერთი სონეტით გააცოცხლა ის ლირიკისათვის და დღეს „გედების მკვლელის“ ავტორი თანამგზავრია დეზდემონასი და შელლის. ივანე მაჩაბელი დაიკარგა, მაგრამ ის ელიზიუმის აჩრდილია და ამასთან ერთად თფილისის მარადი მოქალაქეა. გრიგალზე უფრო საშინელია სიჩუმე. ლირიკას აქვს იერიქონის საყვირი, რომ გააღვიძოს სული ძილიდან, მაგრამ ის უფრო ხშირად მოქმედობს სიჩუმით და მთვარით. ლირიკა ის ღამეა, როდესაც ჰამლეტს გამოეცხადა მისი მამა საიქიოდან და მოითხოვა შურისძიება. ლირიკა ის მთვარიანი ღამეა, როდესაც მოჰკლეს ივანე მაჩაბელი და სიჩუმეს მიაბარეს მისი სისხლიანი სხეული. მაჩაბელის მთვარის ნიშნის ქვეშ მიდის დღეს ქართული ლირიკა და ვერ ნახავს დამშვიდებას, სანამ არ აღმოაჩენს მის სამარეს, სანამ არ მოინანიებს თავის დანაშაულს. ლირიკის კოშმარი დროებითია. მისი დანიშნულებაა—ნეტარება სიჩუმეში.

პოეტების მასწავლებელი პოეზიაში ტიუტჩევი ჰქმნის პოეზიის ასეთ პოეტიკას:

Среди громов, среди огней
Среди клокочущих зыбей,
В стихийном пламенном раздоре,
Она с небес слетает к нам,
Небесная, к земным сынам—
С лизурной ясностью во-взоре,
И на бунтующее море
Льет примирительный елей.

როგორც დეკემბრის ვეფხვი, მოვარდნილი სპარსეთიდან საქართველოში, ლირიკა ხშირათ დაიცხრილება ტყვიებით, მაგრამ მის გასასვენებლათ ვერ გამოდგება ურემი. საჭიროა შავი ბალდახინი ედგარის მორცენგერშტეინის ცხენებით. საჭიროა, როგორც პარტერი—დიდი ზღვა—დაისების ლოჟებით და უკანასკნელი ფარდით.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი.

გრიგოლ რობაქიძე—წმინდა ნინო: ხორალი
პაოლო იაშვილი—პავლე ინგოროყვას
ტიციან ტაბიძე—ნინა მაყაშვილს
შალვა აფხაიძე—ღამის პეიზაჟი
რაუდენ გვეტაძე—ელამი სარკე
ვალერიან გაფრინდაშვილი—ყელსახვევის პოეტიკა
ტიციან ტაბიძე—ირონია და ცინიზმი
სანდრო ცირეკიძე—პოეტი და მკითხველი
ვალერიან გაფრინდაშვილი—ლირიკის ელიზიუმი
ლადო გუდიაშვილი—ჟურნალის ვინიეტკა

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

L 78/182

ეროვნული
ბიბლიოთეკა

25.000 ეანეთი